TAV Georgia

თარიღი : 06 / 02 / 2019
ნომერი : TAV.GM.5399

მოქალაქე მამუკა ხახიაშვილს

ბატონო მამუკა,

თქვენი განცხადების და მასზე თანდართული მასალის პასუხად, რომელიც ეხება ქ.თბილისში, ქვემო ალექსეევკის ტერიტორიაზე, არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდით: 01.19.24.007.098) დაგეგმილი მშენებლობის საკითხს გაცნობებთ, რომ აღნიშნული მიწის ნაკვეთი მდებარეობს თბილისის საერთაშორისო აეროპორტის დაბრკოლებებისგან შემზღუდველი აფრენისას სიმაღლის აღების ზედაპირის გავრცელების ფარგლებში და 13R/31L ასაფრენ-დასაფრენი ზოლიდან დაშორების გათვალისწინებით მასზე დაუშვებელია მიწის ზედაპირიდან +7.0 მეტრი სიმაღლის შენობის განთავსება.

ფრენების უსაფრთხოებაზე უარყოფითი ზეგავლენის თავიდან აცილების მიზნით, ზემოთხსენებულ მიწის ნაკვეთზე დასაშვებია მიწის ზედაპირიდან +4.97 მეტრამდე სიმაღლის შენობის განთავსება.

გთხოვთ გაითვალისწინოთ, რომ საჰაერო ხომალდებისთვის ვიზუალური დაბრკოლების შექმნის თავიდან აცილების და ფრენების ორნიტოლოგიური უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით, დაუშვებელია მოცემული ზონის დაკვამლიანება ან/და დანაგვიანება.

ასევე, თბილისის საერთაშორისო აეროპორტის ინფრასტრუქტურის მომავალი განვითარების თვალსაზრისით, აღნიშნულ მშენებლობასთან დაკავშირებით აუცილებელია შპს „საქაერონავიგაცია“-ს პოზიციის გათვალისწინება.

პატივისცემით,

ქ. მეთე ერქალი
გენერალური მენეჯერი

თეა ზაქარაძე
გენერალური მენეჯერის მოადგილე

OD